გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, შობას და კალანდას! 2025 წელი ჩვენი ქვეყნისთვის ყოფილიყოს წინსვლის და განვითარების მომტანი! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას!

**გიორგი ურუშაძე,**
გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ კეთილდღეობას, ბედნიერებას და ჯანმრთელობას! 2025 წელი ჩვენი ქვეყნისთვის და თითოეული თქვენგანისთვის მშვიდობის, წარმატების, წინსვლის, სიხარულისა და სიკეთის მომტანი ყოფლიყოს!

**დავით დარჩია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ჩვენო ძვირფასო გურულებო.

გილოცავთ ახალ წელს. ღმერთმა ქნას მომავალი ახალი წელი მშვიდობის და სიმშვიდის მომტანი იყოს გურიისა და მთელი საქართველოსთვის. სიხარული და ღიმილი მენახოს ყველა გურულის სახეზე. „მეამყება რომ გურული ვარ"ვამბობთ გურულები და ამის თქმის უფლებას ჩვენი დიდი ისტორიული წარსული გვაძლევს,რომელიც უძველესი დროიდან დღემდე მოდის და დღესაც გრძელდება. გფარავდეთ უფალი.წარმატებები,წინსვლა და ეკონომიური სიძლიერე ჩვენ ლამაზ გურიას და გურულებს.

**ზაურ ოსეფაიშვილი,**
„საქართველო,შალომ კლუბი „გურია" პრეზიდენტი


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 21 (10486) 30 დეკემბერი, 2024 წ. ფასი 1 ლარი.



## მაღაზია „ნეჰტუნი"

ძმები ჭანუყვაძეების მარკეტი გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

მის: ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის ქ. №14

რ


# საახალწლო ღონისძიებაზე ოზურგეთის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება გაიმართა

საახალწლო ღონისძიებზე ოზურგეთის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ საპატიო სტატუსით 10 ადამიანი დაჯილდოვა.

**ილია ბეგიაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;

**ამირან ჯანელიძე** – „ბლექ სი არენასა" და ფილარმონიის სტრატეგიული განვითარებისა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;

**მანანა ლომაძე** – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი, ისტორიკოსი, მეცნიერი;

**ომისსან (ომარ) ურუშაძე**- ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი,ღირსების ორდენის კავალერი;

**რუსუდან ტაკიძე** –ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტის ქიმიის კათედრის ხელმძღვანელი;

**ამირან გირკელიძე**– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფრ-ოსი სპეციალისტი;

**ნონა კილაძე** – ახალგაზრდა ექიმი;

**სერგო ზაქარიაძე** – გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს, ოზურგეთის სახანძრო-სამაშველო განყოფილების ცვლის მეთაური;

**მიხეილ დარჩია** – შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებელი, პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი;

**ანა კოხრეიძე** – ოზურგეთის მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელი.

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**ვიორგი გოგოლაძე**

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2025 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2025 წლისთვის კიდევ 13%-ით გაიზრდება. მისი საწყისი მოცულობა 43,4 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 5,65 მლნ ლარით აღემატება და პრიორ-იტეტებში გადანაწილდა.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსთვის“, ხოლო ფრაქცია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობის“ წევრებმა მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის განხილვის პროცესში მონაწილეობა არ მიიღეს და მხარი არ დაუჭირეს მის დამტკიცებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი 26 ხმით დამტკიცდა.

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელსაც ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** დაესწრო.

მუნიციპალიტეტის მერმა 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე ისაუბრა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;

საკრებულომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს მხარი დაუჭირა.

# „იავნანას“ აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრები გადასცეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა,** პირველ მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძესთან და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძესთან ერთად დღის ცენტრ „იავნანას“ აღსაზრდელები მოინახულა და საახალწლო საჩუქრები გადასცა.

*დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ თითოეულს. მშვიდობა, ბედნიერება, ულევი სიხარული და წარმატებები მათ!* – აღნიშნა ლანჩხუთის მერმა.

# ხმაური ოზურგეთის საკრებულოში – ოპოზიციონერმა დეპუტატებმა „ქართული ოცნების“ დეპუტატებს ე.წ. „სირცხვილის კორიდორი“ მოუწყვეს

**ალიონი.** 25 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხმაური იყო. სხდომის დაწყების წინ ოპოზიციონერმა დეპუტატებმა უმრავლესობის წევრებს ე.წ. „სირცხვილის კორიდორი“ მოუწყვეს. მათ ადგილზე თბილისში აქციებზე დაშავებული ადამიანების ფოტოები მიიტანეს და სხდომაზე მიმავალ დეპუტატებს თავიანთი პოზიციის დაფიქსირებას სთხოვდნენ.

ოპოზიციის ამ პერფორმანსს „ქართული ოცნების“ დეპუტატების გაღიზიანება მოჰყვა, რის გამოც ისინი ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. განსაკუთრებულად გამოიკვეთა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეების მარიკა ჩხიკვიშვილის და დავით მჟავანაძის დაპირისპირება.

*–„იმის პარალელურად, როცა ათობით ადამიანი დაასახიჩრეს, სიკვდილამდე მიიყვანეს, ქუჩებში მოუწყვეს რეპრესიები, ამის ფონზე დღეს ოზურგეთის საკრებულო და ავთანდილ თალაკვაძე აქ, საპჭოურ დარბაზში შეიკრიბნენ და საკუთარ თავს ხელფასებს უზრდიან. 6-7-8 ათასი ლარი უნდა ჰქონდეთ მათ ხელფასი, რომ ხმა არ ამოიღონ და გაუმაგრონ ზურგი ამ ძალადობრივ რეჟიმს“,* – განაცხადა პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **თათია ნიკოლაშვილმა.**

მოგვიანებით ოპოზიციონერი დეპუტატები სხდომაზე ფოტოებით შევიდნენ, რის გამოც დაპირისპირება უმრავლესობის წევრებთან სხდომის დარბაზში გაგრძელდა. ადგილზე პოლიციის გამოძახება გახდა საჭირო. სამართალდამცავებმა ოპოზიციონერი დეპუტატები დარბაზიდან გაიყვანეს.

საკრებულოს სხდომა გაგრძელდა. დეპუტატებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დაამტკიცეს.

*–ნაციონალ დეპუტატებს არ აინტერესებთ, რა ხდება საკრებულოში, როგორ მივიღეთ ბიუჯეტი, მხოლოდ საკრებულოს სხდომის ჩატარების ხელშეშლასა და დებოშზე არიან გადასულნი. კარგად ხვდება საზოგადოება, ვინ არიან ესენი და რას აკეთებენ. არაფერი არ უყვართ, ყველაფერს ცალმხრივად უდგებიან. არ ამბობენ მოქალაქეების გარდა, რამდენი პოლიციელი დაშავდა თბილისში აქციებზე. ესენი არ უნდა იყვნენ საკრებულოში* –განაცხადა თავის გამოსვლაში საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ.**

# პოეზიის დედოფლის, ანა კალანდაძის, დაბადებიდან 100 წელი გავიდა



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში, ანა კალანდაძის სახელობის სკვერში, საზეიმოდ გაიხსნა პოეტის ბიუსტი (მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქია).

ღონისძიებაზე ისაუბრეს პოეტის მოგონებებზე მშობლიურ სოფელთან დაკავშირებით; ხიდისთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მისი ლექსები წაიკითხეს; ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა და კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს.

საღამოს, მოქალაქეებთან ერთად, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

საიუბილეო კვირეულის ფარგლებში ანა კალანდაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში მიმდინარეობს.

# შობა-კალანდის რიტუალები გურიაში

## ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში მანანა ლომაძის წიგნის – „ძველი ოზურგეთი და მისი უბნები“ პრეზენტაცია გაიმართა

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში მანანა ლომაძის წიგნის – „ძველი ოზურგეთი და მისი უბნები“ პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი ყველა ოზურგეთელისათვის დიდი საჩუქარია, რადგან მასში ასახულია ოზურგეთის ისტორია, თავად ქალაქისა და უბნების დასახელებათა წარმოშობა. ასევე ასახულია გურიის ისტორიიდან სხვადასხვა თემები: პოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური ყოფა, სხვადასხვა ტრადიციები.

ქალბატონმა მანანამ ისაუბრა წიგნის შესახებ, გაიხსენა მასზე მუშაობის პერიოდი და მადლობა გადაუხადა ყველას ვინც მცირე წვლილით დაეხმარა მასალების მოპოვებაში.

ღონიძიებას ესწრებოდნენ: მოსწავლეები, ჟურნალისტები და ოზურგეთის საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

ამ დღეებში მანანა ლომაძეს ოზურგეთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. ვულოცავთ!

## საშობაო სამზადისი

შობის წინ 4-5 დღით ადრე ქალები კვერცხს მაგრად მოხარშავდნენ. მოხარშულ კვერცხს ჩეჩოზე დააწყობდნენ და ოჯინჯალაზე გამოჰკიდებდნენ, შუა ცეცხლზე კვერცხები ხმებოდა, იჭვარტლებოდა და ქვასავით მაგარი ხდებოდა, შემდეგ კი მუცლის სალოცავისა და ღვეზე-ლის-ათვის იყენებდნენ.

*„შობის წინა დღით ბრავაწობა თენდება“*, – გადმოგვცემს ეთნოგრაფი **აპოლონ წულაძე**. სიტყვა ბრავაწობა **ალექსანდრე ღლონტის** ქართულ-კილო-თქმათა სიტყვის კონაში გურული გამოთქმაა და მრავალ წლობას ნიშნავს. ამ დილით ოჯახის უფროსი, რამდენიმე ოყა „ყირიმის“ თეთრი პურის ფქვილს მოიტანდა დუქნიდან. უმეტესობა კმაყოფილდებოდა შინაური თალხი ფქვილით, რომელიც ზოგიერთებს იმდენი მაინც მოჰყავდათ, რამდენიც საკაიდღეოდ ეყოფოდათ. დედაკაცები დილით შეუდგებოდნენ სახვალიო სამზადისს, პურის ფქვილს მოზელდნენ, რომ „წამოღუებულიყო“ და საღამომდე თბილად შეინახავდნენ. სასუქიდან ქათმებს გამოიყვანდნენ, საცივს გააკეთებდნენ. დამარილებულ ჩიტებს, ქოთნით შენახულს კი „ჩააბუზბუზებდნენ“.

საღამოს კეცებს გაახურებდნენ და დააცხობდნენ ღვეზელებს და მუცლის სალოცავ კვერებს.

## მუცლის სალოცავი

მუცლის სალოცავი პატარ-პატარა ყველით გატენილი კვერებია, შუაზე ერთი კვერცხია მოთავსებული. გურულების ღვეზელს ნახევარ მთვარის ფორმა აქვს (რაც ძველი გურულების რწმენით, ციური სხეულების თაყვანისცემას უკავშირდება, მასში ჩატა-ნებული კვერცხი ხვავის, ბარაქის, ოჯახის სიმტკიცისა და გაუტეხელობის სიმბოლო იყო) და მას სათითაოდ აცხობდნენ საუფროსოს და საუმცროსოს. ზოგს 4-5 კვერცხს მიურთავდნენ და ისიც მთელს, ზოგში – 2-3 კვერცხს. გამო-აცხობდნენ სასტუმრო და მეალილოეს საჩუქარ ღვეზელს.

საშობაო და საკალანდო სამზადის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, კრიტიკოსი, ლიტერატურატმცოდნე მთარგმნელი **გერონტი ქიქოძე** ბავშვობის მოგონებებიდან გადმოგვცემს: *„ცხოვრებაში დიდი პოეზია შემოჰქონდა ზამთრის დღესასწაულებს;*

*შობას აუცილებლად ღვეძლებით უნდა შეეხვედროდით, ეს იყო ნამგალა მთვარის მსგავსი ხაჭაპური, რომელსაც ყველის გარდა მაგრად მოხ-არშული, ბოლში გამოყვანილი, ორად გაჭრილი კვერცხები ჰქონდა ჩატან-ებული, ასე, რომ მისი ზედაპირი ალაგალაგ ამობურცული იყო. კალანდას აგუნათი და ჩიჩილაკებით ვეგებებ-ოდით.ეს ჩიჩილაკები ახალი წლის წინა დღით ირთვებოდა სუროთი, კურკანტელით, ვაშლით და კამფეტებით და თითქოს წმინდა ბასილის წვერს წარმოადგენდა.“*

დილით, ძალიან ადრე, ოჯახის დედაქალი მუცლის სალოცავს თითოეულ შვილს სამ-სამჯერ შემოავლებდა მუცელზე და ლოცვას აღავლენდა: *„ამის მუცლის სატკივარი აღმა ქარს, დაღმა წყალს“*. მუცელზე შემოვლებულ კოკრებს ბავშვები მაშინვე ჭამდნენ, სხვისთვის შეთავაზება, თუნდაც ერთი „ფინჩხა“ (ნამცეცი) არ შეიძლებოდა, რადგან ნატეხს მუცლის ტკივილი გადაყვებოდა და სხვისი ავადმყოფობა ვის რად უნდოდა. რაკი მუცლის სალოცავს მთლიანად შეჭამდნენ, ამით მთელი წელი მეორე შობამდე მუცლის ტკივილისგან დაზღვეული იყვნენ.

დილით გაჩაღებული ცეცხლის პირას, ცეცხლისა და ქონის ჭრაქის სინათლეზე ოჯახის წევრები შემოუსხდებოდნენ საოჯახო სუფრას და მიირთმევდნენ მშვენიერ საუზმეს, რომელსაც არც ღვინო აკლდა. ჯერ კიდევ ბნელოდა ისე, რომ ზოგიერთი „ალცარიე“ (ზარმაცი) გათენებამდე ერთ წამინებასაც მოასწრებდა.

## ბუდუა-ნათლულის საშობაო შეხვედრა

შობის დღესასწაულის ერთ-ერთი რიტუალი იყო ბუდუა-ნათლულის მოყვრების საშობაო შეხვედრა.

შობის საღამოს, წირვის დაწყებამდე, ბუდუას (ნათლიას) ნათლულიდან საშობაო ძღვენიც მოუვიდოდა. ეს იყო ფიჭვის ყავარზე დაკრული 30-40 კვერცხიანი „საიასაღო“ (საგანგებო) ღვეზელი, „კურტუმჩაყ-ვითლებული“ ყვერული ფინჩხაურით (მოზრდილი საღვინე დოქი), ჩხავერის ღვინო და ნათლულის ნახელავი წინდა. სამაგიეროდ, მოყვრებს ერთად უნდა ესადილათ, ძღვენის მოსაკითხის გამომგზავნი ნათლიამ უნდა დაპა-ტიჟოს და თან სტუმრებიც მიუპატიჟოს.

ნათლია თუ თავადი ან გავლენიანი აზნაური იყო ან ბობოლა „ჩინოვნიკი“, მაშინ 60 კვერცხიან ღვეზელს გამოუცხობდნენ და გარდა კვერცხისა, 10-15 მსუქან შაშვს წინასწარ „მონწალულს“(მდუღარეში ცოტა ხნით ნამყოფს) ჩაურთავდნენ, რომელიც ღვეზლის ცხობის დროს შეიწვებოდა, ჩხავერის ღვინოსთან ერთად, ასეთ ძღვენს ახლდა სანთლის არაყი. შობის სადილი იყო „ძირდადგმული“, დარბაისლური. სიმღერა, ფიშტოს სროლა, ჩონგურის დაკვრა და ზედ დაღიღინება, ცეკვა – ყველაფერი ეს ჭამის მადას აღძრავდა და მასპინძელი ქალიც წამოსამატს (შემწვარ ჩიტს) და ხაჭაპურს არ ზოგავდა, აურზაური და ჩხუბი წარმოუდგენელი იყო. როგორც სიამტკბი-ლობით დასხდებოდნენ, ასევე მოყვრულად გამოეთხოვებოდნენ ერთმანეთს და გამომშვიდობებისას იტყოდნენ: გაის ამ დროს კიდევ ასე კარგად მყოლოდეს თქვენი თავი, თქვენიანებ და თქვენი კარგად ყოფნით, უპასუხებდა მასპინძელი. შობის მეორე დღე – „შობის დედაც“ უქმე იყო, პირის გემო და სიამოვნება იმ დღესაც არ აკლდათ.

## ალილო

ალილო მთელ საქართველოში გავრცელებული, ქართული საწესო სიმღერა იყო. შობის წინა ღამეს შეიკრიბებოდა რამდენიმე კაცი, ჩამოუვლიდა ოჯახს სიმღერით, დღესასწაულს მიულოცავდა. მასპინძელი მომღე-რლებს სანოვაგით ასაჩუქრებდა, გური-აში მეალილოსათვის სპეციალურ ღვეზელს აცხობდნენ. ალილოს ტექსტებში *„ოცდახუთსა დეკემბერსა“*, *„ჩიტი ღობესა შემოჯდა“* გამოთქმული იყო ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და ბარაქიანობის სურვილი.

## კალანდა (ახალი წელი)

კალანდის შესახვედრად აუცილებელი იყო შემდეგი რიტუალების შესრულება: ცხემლისჭრა საღამო, გასალოცი გობის მომზადება, ჩიჩილაკის ახდა, გალოცვა, ანუ ფეცხვა, ცეცხლის გალოცვა, ბედობის დღე, აგუნას გადაძახილი, წმინდა ბასილის ლოცვა.

გურიაში ახალ წელს კალანდა ეწოდება და მას თოფების გასროლით ხვდებიან.

გურულები კალანდისთვის მზადებას ადრიანად იწყებდნენ. ბარბარობამდე ორი-სამი დღით ადრე მეოჯახე კაცი მიდის ტყეში, მოჭრის ველური თხილის წნელს, მოიტანს სახლში, მოღობავს ძარას, ანუ სასუქს. ბარბარობა დღე ქათმების პატარა დღეობაა. ამ დღეს მეოჯახე ქალი არჩევს ბებერს, ნაკლებ კვერცხის მდებელს, ცუდ მკეკელს, „ფრთხუს“, უვარგის, მოჭვას, რომელიც სადგამურად არ გამოდგება. აგრეთვე ყვერულს, რომელიც საგანგებოდ საკაიდღეოდ ჰყავდათ გამოზრდილი. ბარბარობიდან ერთი კვირის შემდეგ განსაკუთრებულ ადგილას, საგანგებო სამწყვდევში ჩასვამდნენ ღორს, ქათმებიც და ღორიც სასუქში უნდა ყოფილიყო, ოჯახის ყველა წევრი ცდილობდა, დაესწრო და სასუქში მყოფთათვის *„კეკალი დაეყარა, წყალიც დაესხა და თან ეთქვა: სუქ, სუქ, სუქ. ღორი პირველ დღეებში პატივს იღებს, ხარბად ჭამს სიმინდის დაყრის დროს როთინით ხვდება, შემდეგ კი, როცა სიმსუქნე სძლევს, საჭმლით გულს იმსუყებს, ზარმაცობა ეპარება, უხალისობა ეტყობა, წვება დანებივრობას იწყებს“* (**აპოლონ წულაძე**).

## ცხემლის ჭრა

ახალი წლის კალანდის წინა დღეს ცხემლისჭრა საღამო ეწოდებოდა. ამ დღეს ოჯახის უფროსი მამაკაცი წავიდოდა ტყეში და ცხემლის შეშას დაამზადებდა. უძველესი დროიდან ოჯახში ცეცხლის ჩაქრობა დიდ უბედურებად ითვლებოდა, ცეცხლი, სახლის (სამზადი) შუა ადგილას იყო გაჩაღებული, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ ოჯახის ყველა წევრი შემოსხდომოდა ირგვლივ და გამთბარიყვნენ. გურიაში სამზად სახლში დღესაც ანთია შუა ცეცხლი კერიით, კერია(კერა) წარმოადგენს მოგრძო ქვას, რომელსაც შეშას დააყრიან, თავებს კერიაზე ჩამოუდებენ, ასეთ შემთხვევაში შეშას ცეცხლი უფრო კარგად ეკიდება. ცეცხლის გაქრობა და კერიის გაცივება დიდ უბედურებად ითვლებოდა. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცეცხლის გატანას (გაუქრობლად შენახვა) მტკიცდებოდა შელოცვით, რომელსაც გურიაში მიმართავდნენ, საღამოობით, დაწოლის წინ, ხის მუგუზალს შეახვევდნენ, ნაღვერდალში ცეცხლს დაახვეტდნენ, ცეცხლის შემნახველი შემდეგი სიტყვებით შელოცავდა:

*ცეცხლო ელოდე-მელოდე,*
*მე მელოდე, მზეს ელოდე,*
*მთვარეს ეთაყვანებოდე,*
*დილით ადრე ავდგებოდე,*
*დოჩხაური დამხვდებოდე.*

დოჩხაური ხალხურ ენაზე დიდი ანუ გაღვივებული ცეცხლია.

ცნობილია, რომ ცხემლის შეშას უფრო მაგრად ეკიდება, ვიდრე თხემლის, ან სხვა მცენარისას, მას ღვთაებრივ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. სასუქში ჩაყრილ ფრინველებს და საახალწლო ღორს დაკლავდნენ. ცხემლის ჭრა დღის ვახშამს ამზადებდნენ გასუქებული ქათმის კუჭფილტვისაგან და თავ-ფეხისაგან, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თქმულებაც კი არსებობდა „ახალწლის სადილს შეველევი და ცხემლის ჭრის ვახშამს ვერაო“.

კონსტანტინე გვარამაძის გადმოცემით, კალანდის დადგომამდე ცხემლისჭრა საღამოს, ოჯახის ყველა წევრზე რამდენიმე ხაჭაპური ცხვებოდა, რომელთა დასახელებები გახლდათ–„საკალანდო“, „დედო ხაჭაპური“ ანუ „საფერხავი“, „საჩიჩილაკე“, „სააგუნავო“, „საიმვახშმო“, „სალოცავი“ და „საცხემლისჭრო“.

„საცხემლისჭრო“ ხაჭაპურს ჩიჩილაკის გაწყობის წინ მიირ-თმევდნენ, „დედო ხაჭაპურებს“, „ნაზარდას“ თავთან ერთად საკალანდო გობზე დებდნენ. „სააგუნაო“- აგუნაზე გასალოცი იყო, რომლის დღესასწაუ-ლიც ასევე ახალი წლის წინა ღამით იყო. „საჩიჩილაკეს“ ჩიჩილაკის თავზე ჩამოაცვამდნენ.

*გურულს ყველა დღესასწაული*
*უყვარს, მაგრამ კალანდას და აღდგომას არაფერი ურჩევნია.*

**აპოლონ წულაძე**

## ჩიჩილაკის ახდა

საახალწლო გასალოც ელემენტებს შორის ჩიჩილაკს განსაკუთრებული და შეუცვლელი ადგილი ეჭირა. ჩიჩილაკი ნედლი ხის ნაწარმია, რომელზედაც შეთლილია დახუჭუჭებული მერქნის გრძელი ანათალი.

## ჩიჩილაკის მომზადება

ჩიჩილაკის დამზადება ხდებოდა თხილის, წაბლის ან ლეღვის ახლად მოჭრილი ღეროებისაგან, კერძოდ, ღეროებს მოთუთქვდნენ (გაავლებდნენ) ნაღვერდალში, გააცლიდნენ კანს და შემდეგ ძირიდან ზევით ათლიდნენ მერქნის თხელ, ერთი მილიმეტრის სისქის, ღეროებს, ეს ღეროები კულულებად უნდა უნდა ყოფილიყო დახვეული. დასადგამად გაუკეთებდნენ სამ ფეხს, წვეროზე კი- ქოჩორს. გურიაში წინათ იშვიათი იყო ოჯახი, სადაც არ იცოდნენ ჩიჩილაკის ახდა. საახალწლო რიტუალის დროს იგი გურიასა და სამეგრელოში აუცილებელი ელემენტი იყო. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ძველი ხალხური გადმოცემით, ჩიჩილაკი მზის გამოსახულებას წარმოადგენს ხოლო მის ქვემოთ დაშვებული კულულები მზის სხივების სიმბოლოებია. დაამთავრებდნენ თუ არა ჩიჩილაკის ახდას და შეუდგებოდნენ მის მორთვას. ჩიჩილაკს რთავდნენ კურკანტელით, სუროს ყლორტებით, საზამთროდ დამზადებული დაჩამიჩებული ყურძნის აკიდოებით, ჩურჩხელებით, ბროწეულით, პატარა ყველიანი პურით და სხვა.

ჩიჩილაკს წარმართობის დროინდელ ბასილას წვერებს ადარებდნენ, ქრისტიანობაში – კი წმინდა ბასილის წვერს. სიცოცხლის ხესაც ეძახდნენ, იმიტომ რომ კერა, სახლი ქართველ კაცს სიცოცხლის სიმბოლოდ, ადამიანის ზეცასთან შემაკავშირებლად ესახებოდა, რასაც, განასახიერებდა ჩიჩილაკი.

ოჯახის უფროსი მამაკაცი წმინდა ბასილს შესთხოვდა, დამდეგი ახალი წელი მისთვის და მისი ოჯახითვის ყოფილიყო ბედნიერი, ყველასათვის მოეტანა ჯანმრთლობა, კეთილდღეობა, ყველა საქმეში წარმატება და სიმდიდრე. სახლში შესვლისას იტყოდნენ: *„გადმოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, გფარავდეთ წმინდა ბასილი, იმისი მადლით იყავით პურით და ღვინით ავსილი“*. თხილის ღეროს ნახევრად ახდილ ბურბუშელებს, წმინდა ბასილის ფაფუკ წვერებს ადარებდნენ და ამით ხაზს უსვამდნენ სწრაფვას წმინდა ბასილისებური სიკეთის, სიუხვის, ღვთისმოსაობისაკენ

**მანანა ლომაძე**

# გურული მხატვრები ანკარაში

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების ცენტრის საქმიანობა მოიცავს ამ ულამაზესი დარგის წარმოჩენის მრავალ ასპექტს (საგამოფენო, საფონდო, სალონი, შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნო). ცენტრისთვის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია გაცვლითი გამოფენების წარმოება, მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

2024 წლის 15 იანვარს, შედგა მოლაპარაკება თურქეთის დედაქალაქ ანკარაში არსებულ ორ გალერეას : „ALEVART" და „ AVI-GIZGI-SANAT„ შორის, რაც ითვალისწინებდა ქართველი და თურქი მხატვრების კულტურულ კავშირებს, მათი შემოქმედებითი აგამოფენების მოწყობას ორივე ქვეყანაში. .

2024 წლის 15 აგვისტოს, ჩვენს გალერეას, ხუთი დღით ეწვია ხუთი თურქი მხატვარი. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენს ცენტრის საგამოფენო დარბაზში მიმდინარეობდა მათი ჯგუფური გამოფენა 7 ოზურგეთელ მხატვართან ერთად. ამავე დროს დაიგეგმა საპასუხო გაცვლითი გამოფენა თურქეთში, 2 ნოემბერს.

გამოფენაში მონაწილეობას იღებდა თორმეტი ქართველი მხატვარი ოთხმოცამდე ნამუშევრით.

მეორე გალერეაში, Savat შედგა ქართველი და თურქი მხატვრების ძალიან საინტერესო პლენერი. 13 ნოემბერს კი გაიხსნა ერთობლივი გამოფენა. ოზურგეთელი მხატვების შემოქმედებას იმდენად დიდი მოწონება ხვდა წილად, რომ ემზარ ხაბულიანის, თანდილა თავართილაძის და დავით უღრელიძის ნამუშევრები გალერეის დირექტორმა, ფერმან აიდინმა წარადგინა თურქეთის მხატვართა კავშირის გამოფენაში, რომელიც სხვა გალერეაში გაიმართა.

ემზარ ხაბულიანისა და დავით უღრელიძის ნამუშევრები შეტანილ იქნა გამოფენის კატალოგში. ვერნისაჟში მონაწილე ყველა მხატვარს გადაეცა შესაბამისი სერთიფიკატები.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – ამ გამოფენის გახსნის დროს, გალერეის კურატორმა წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „გაუმარჯოს ქართულ მხატვრობას, თურქეთის სახვითი ხელოვნების გადამრჩენ ძალას".

ეს სიტყვები ეკუთვნოდა არა მხოლოდ ოზურგეთელ მხატვრებს, არამედ ზოგადად, თურქეთში მოღვაწე ქართველ შემოქმედთ, რომლებიც ხშირად მონაწილეობენ იქაურ გამოფენებში და წლებია იმსახურებენ დიდ მოწონებასა და აღიარებას. სასიამოვნოა, რომ ჩვენი პატარა ოზურგეთის წვლილიც საკმარისი აღმოჩნდა ამ საოცარი აღიარებისთვის. ამჟამად, ანკარაში, კვლავ დაგეგმილია ექვსი მხატვრის გამოფენა, ძალზე სოლიდურ საგამოფენო სივრცეში – „Fair ART ANKARA სადაც დათმობილი გვაქვს 24 კვ/მ სივრცე. გამოფენა გაიხსნება 19-23 თებერვალს.

ეს არის მსოფლიო მნიშვნელობის ღონისძიება, რომელიც 19 თებერვალს, დახურულ რეჟიმში ჩატარდება – მხოლოდ გალერეის დირექტორების, კოლექციონერებისა და ექსპერტებისათვის; დანარჩენი ოთხი დღე კი - ფართო მნახველთათვის. ეს შესაძლებლობა ახალ პროფესიულ სიმაღლეს შესძენს ჩვენს ცენტრსა და ადგილობრივ მხატვრებს.

***ავთანდილ თავართქილაძე,***

*მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების ცენტრის-სურათების გალერეა დირექტორი*

# ნოდიკო დონაძე დიდი ბაბუის ტრადიციებს აგრძელებს

*ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრ-თან არსებულ სალოტბარო სკოლის პირველ კურსდამთავრებულთა შორის ერთ-ერთი წარმატებული მოსწავლე თხინვალელი* ***ნოდიკო (ნოდარ) დონაძეა.***

*ნოდიკოს დიდი ბაბუა არტემ დონაძე ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი იყო. იგი ვარლამ სიმონიშვილის სახელმწიფო ეთნოგრაფიული ანსამბლის წევრი გახლდათ. როგორც ჩანს, ხალხური სიმღერების ნიჭი დონაძეებს ოდითგან მოსდგამთ.*

*საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლისას თანაკურსელები იყვნენ ნოდიკოს ბაბუა –ნოდარ დონაძე და ანზორ ერქომაიშვილი. ნოდარ დონაძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სოფელ თხინვალის სასოფლო გუნდს და ამავე დროს ჰყავდა საოჯახო ანსამბლი, სადაც ოჯახის ყველა წევრი იყო გაერთიანებული. რამდენჯერმე გახდნენ რაიონული დათვალიერების და მუსიკალური ფესტივალის „გურიის გაზაფხული" გამარჯვებულები.*

*უმცროსი ნოდარ დონაძე ბავშვობიდან მღეროდა. იგი ხშირად გამოდიოდა სხვადასხვა მუსიკალურ საღამოებზე. დაამთავრა სოფელ თხინვალის საჯარო სკოლა, პარალელურად – ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრთან არსებული სალოტბარო სკოლა.*

*იგი ამჟამად გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის მეორე კურსის წარმატებული სტუდენტია. მღერის ფოლკლორის ცენტრის სახელმწიფო ეროვნულ ანსამბლში(ხელმძღვანელი გიორგი დონაძე) და ასევე მამა დავითის ტაძრის მგალობელ-მომღერალთა გუნდში (ზურაბ წკრიალაშვილი) .წარმატებით აგრძელებს დიდი ბაბუის, ცნობილი მომღერლის არტემ დონაძის განვლილ გზას.*

*გთავაზობთ ამონარიდს ბაბუას –ნოდარ დონაძის ლექსიდან „ნოდიკოს:"*

*„შენ ამ სკოლაში დაფრთიანდები,*
*და აქვე მოქსოვ ოცნების ბადეს,*
*შენს დაბრძენებას თუ კი მოვესწარ,*
*სულით სულ შენთან ვიქნები, გწამდეს!*
*ძველთაგან მოგვდგამს მუსიკის ნიჭი,*
*ექვსი წლის უკვე უკრავ და მღერი,*
*ღმერთმა ჰქნას, იყო ისეთი ბიჭი,*
*რომ ასახელო ქართველი ერი."*

*ვულოცავთ ნოდიკო დონაძეს დამდეგ შობა-ახალ წელს და წარმატებებს ვუსურვებთ.*

***„ალიონელი" მეგობრები.***

გილოცავთ შობა-ახალ წელს! გისურვებთ, რომ 2025 წელი ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით დატვირთული თითოეული თქვენთაგანის და მთლიანად საქართველოსათვის!

**მარიკა ჩხიკვიშვილი,**
საკრებულოს ფრაქცია „ძართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

შობა-კალანდის შემობრძანებას ვულოცავ ყველას. განსაკუთრებით მოძმედ და ვეტერან პედაგოგებს, ჩვენს კვირფას მოსწავლე-ახალგაზრდობას.კიდევ უფრო მეტი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისათვის.

**ლალი სიჭინავა,**
ოზურგეთის საგანმანათლებლო რესუტსცენტრის უფროსი

ნოდარ დუმბაძის სახელობის განსაკუთრებული ტრადიციების მქონე №2 საჯარო სკოლის სახელით მაქვს პატივი მოგილოცოთ 2025 წლის შემობრძანება.

განსაკუთრებული პატივით მივესალმები ჩვენს პედაგოგებს და მოსწავლე-ახალგაზრდობას.

დაე, ახალი წელი კიდევ მეტი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს.

**ფატი სიორიძე,**
ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

ოზურგეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სკოლის სახელით გვსურს მოგესალმოთ და ახალი წლის შემობრძანება მივულოცოთ საქართველოს ყველა მოქალაქეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

ერთად ვისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და კიდევ უფრო მეტი წარმატებები.

**თემურ მოქია,**
ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორი

სრულიად საქართველოს, ყველა ოზურგეთელს, კულტურის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, სულითა გულით ვესალმები და ვულოცავ ახალი წლის შემობრძანებას. ბედნიერება, სიმშვიდე მოეტანოს 2025 წელს!

**კობა ბანძელაძე,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!. სიხარულისა და ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს იგი ყოველი თქვენგანისათვის

**ბაჩანა ნიჭარაძე**
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. მთისპირში, ვაკიჯვარსა და ცხემლისხიდში.

ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო, ჯუმათელებო. სულითა და გულით გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. სიმშვიდე, ჯანმრთელობა და წარმატებები დაბედებოდეს თქვენს ოჯახებს!

**ოლეგ ჩხარტიშვილი,**
ოზურგეთის მერის წარმომადგენელი სოფ. ჯუმათში

გილოცავთ დამდეგ შობა-კალანდას! მრავალს დაესწარით. ფუძე ჭერი დაგელოცოთ, სიყვარული და სიხარული გძონოდეთ

**ვლადიმერ ჩავლეშვილი**
ოზურგეთის მერის წარმომადგენელი სოფ. მთისპირში

შპს „ ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“ თანამშორმლები სულითა და გულით ვულოცავთ აკადემიურ დოქტორ ქალბატონ რუსუდან ტაკიძეს ოზურგეთის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას და ვუსურვებთ ხანგრძლივ ნაყოფიერ სიცოცხლეს მის დიდ ოჯახთან და ერთგულ თანამშრომლებთან ერთად.

ამავე დროს გულითადად ვულოცავთ ყველა დაჯილდოებულ პოროვნებებს და ვუსურვებთ დიდხანს იმოღვაწეონ საქართველოს და ოზურგეთის საკეთილდღეოდ.

ყველას ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

ცენტრის თანამშრომლები.

# ჩოხატაურში მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 26 დეკემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საახალწლო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე და საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავა** დაესწრნენ. ხელოვნების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საშობაო ბაზრობა და საბავშვო გასართობი სივრცეები, გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

საღამოს საზეიმოდ აინთო მთავარი ნაძვის ხე, ჩატარდა ადგილობრივი შემსრულებლებისა და დედაქალაქიდან მოწვეული მომღერლების კონცერტი.

ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა. სამთავრობო ღონისძიებები გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში გაიმართა.

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლაში საახალწლო კარნავალი გაიმართა

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლაში საახალწლო კარნავალი გაიმართა.

ფორტეპიანოსა და ფლეიტის მოსწავლეებმა წარმოადგინეს კლასიკური, ფოლკლორული და საესტრადო ნომრები.

ღონისძიებას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: მაია კუტუბიძე და მინდია ჟღერია გურიის მხარისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ, რომლებმაც სამუსიკო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

ჩოხატაურელმა მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

# მძლეოსნობის ღია ჩემპიონატზე

20 - 21 დეკემბერს ქ თბილისში მძლეოსნობის სასახლეში თბილისის ღია ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლა, 2008 - 2009 - 2010 წ.წ. დაბადებულთა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების მძლეოსანთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდმა მიიღო. გუნდი ასპარეზობიდან შთამბეჭდავი შედეგით დაბრუნდა.

**I ადგილი**

**ანა მგელაძე** ბირთვის კვრა (3კგ) - შედეგი 11მ 01 სმ

**II ადგილი**

**ელენე ძიძიგური**

ბირთვის კვრა (3კგ) - შედეგი 9 მ 40 სმ

ჩემპიონატზე კონკურსგარეშედ **გიორგი პაკელიანმა** ასპარეზა და საუკეთესო შედეგი აჩვენა ბირთვის კვრაში (5კგ) - შედეგი 15 მ 08 სმ

ასევე კარგად ასპარეზეს და საკუთარი შედეგები გაუმჯობესეს **პეტა მჭედლიშვილმა** სიგრძეზე ხტომაში, მან IV ადგილი აიღო. ასევე **დავით ხელაძემ** 60 მ რბენაში ფინალის მონაწილე გახდა და IV ადგილზე გავიდა.

## სამგლოვიარო განცხადებები

გულსუნდა მახარაძე მძიმედ განიცდის ნინელი შეწირულის უსაზღვრო მწუხარებას ერთადერთი შვილის **–დათოს** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მას.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი დეპუტატის, ოზურგეთის მერის ყოფილი წარმომადგენლის სოფელ შემოქმედში და დაბა გომისმთაზე, ცნობილი ფერმერის **ბესიკ ლომინაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა გაერთიანების „გულთა კავშირის“ პრეზიდენტს, ბატონ რობერტ ადარს შვილის **ნატო პაპისმედოვ-აჯიაშვილის** გარდაცვალების გამო.

# სკანვორდი






## პასუხები:

ალიონი: ბეგათინო; ეროვნული ბიბლიოთეკა; ეთნოგრაფიული; ბეგალი; ალბერტ; ალბერტ; ალბერტ

# იზოლდა მამულაიშვილი - იუბილარია !

ცნობილი პიროვნება, მეცნიერი, აკადემიური დოქტორი, საზოგადო მოღვაწე, დაუზარელი და უღალატო კოლეგა, ქალბატონი **იზოლდა მამულაიშვილი** იუბილარია.

თავმდაბლობა, შრომისმოყვარეობა, ცხოვრების ყველა ეტაპზე საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა, ადამიანებზე ზრუნვის მომადლებული უნარი და სხვა მრავალი თვისება, მთლიანობაში მის პიროვნულ პორტრეტს აყალიბებს.

1972 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტი აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით და საქმიანობა გააგრძელა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1973 – 1976 წლეში იგი ამ ინსტიტუტის ასპირანტია. 1978 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „ამონიუმის გვარჯილის დოზების ეფექტიანობა ახლგაზრდა ჩაის პლანტაციების ქვეშ“ და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 2006 წლიდან იგი აკადემიური დოქტორია.

იზოლდა მამულაიშვილს არ უმუშავია სხვა ორგანიზაციაში. ანასეულში განვლო ნახევარსაუკუნოვანი ლამაზი სამეცნიერო გზა ასპირანტიდან მთავარი მეცნიერი თანამშრომლის პოზიციამდე. იგი ავტორია 100 - მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 2 გამოგონების, 4 პრაქტიკული სახელმძღვანელოს და რეკომენდაციების; მიღებული აქვს მონაწილეობა რიგ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და ღონისძიებაში, სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მის მიერ კოლეგებთან ერთად ჩატარებული კვლევები:

- „ადგილობრივი ნედლეულიდან (ტორფი, მურა ნახშირი, ცეოლიტები და სხვ. აგრომადნები) ორგანულ - მინერალური სასუქების მიღების რეცეპტურები“;

- „ორფოთოლა ტკბილის (სტევია) ახალი სელექციური ფორმის აგროტექნოლოგია“;

- „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ ახალი მარკის სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შესწავ-ლა“;

- „ექსტრემალურ პირობებში გადაზრდილ-გატყევებული ჩაის პლანტაციების აღდგენისა და მოვლის ღონისძიებები“;

- „სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან გამოსული, მიგდებული მიწების რეკულტივაცია და გამოყენება სუბტროპიკულ მემცენარეობაში“;

- „ცეოლითების გამოყენების ეფექტიანობა ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში“;

- „სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაში ქიმიური მელიორანტებად მარტვილისა და სენაკის თიხა მინერალების ეფექტიანობის დადგენა“.

მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ჩატარებული კვლევითი სამუშაოების ძირითადი შედეგების აპრობირება და დანერგვა საცდელ-საწარმოო პირობებში.

უაღრესად დიდია ქალბატონ იზოლდას დამსახურება ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც იგი აკადემიურ საქმიანობასთან ერთად, ადმინისტრაციულ თანამდებობას, – ასპირანტურის სამსახურის ხელმძღვანლის პოზიციას იკავებდა (1999 – 2010). ბუნებრივია ეს დროისა და ენერგიის დიდ რესურსს მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, იგი აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას. მისი სამეცნიერო მონაცემების ერთი ნაწილი ციტირებულია და ასახულია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. - -

პიროვნებას ამშვენებს მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, მეტადრე, თუკი ეს დაუღალავი შრომით, გარჯით და კაცთმოყვარეობით არის მოპოვებული.

მეგობრები და კოლეგები დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავთ ღვაწლმოსილ მეცნიერს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მხნეობას, სიხარულს და მომავალ წარმატებას.

**ანასეულელი მეგობრები**
**და კოლეგები**
**ოზურგეთი-ანასეული**
**24 დეკემბერი, 2024**

# მოგზაურის გზა: ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ და გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული დღიურები"



1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ გრ. ორბელიანი გაჩხრიკეს და, სხვა ნაწერებთან ერთად, მას დღიურებიც ჩამოართვეს (იმხანად პოეტი ნოვგოროდში იმყოფებოდა), „მგზავრობა“, შეთქმულების სხვა მასალებთან ერთად ჟანდარმერიის არქივში მოხვდა. ამის შესახებ პოეტს შემდეგი განუცხადებია იონა მეუნარგიასთან ერთ-ერთი საუბრის დროს:

*„სამჯერ დამელუპა ჩემი დღიურები. ერთხელ დონში ჩავცვინდით და კინაღამ მეც დავიხრჩვი; მეორეჯერ, როცა ავარიის ხანი ვიყავი შამილის დროს, უცებ წინანდალში შემხვდა გამოქცევა და ტანისამოსები და წიგნები იქ დამეკარგა, მესამეჯერ, გამჩხრიკეს, როცა პოლიტიკური ორგულობა შემწამეს და სხვა წიგნებთან ერთად ჩემი მესამე და უკანასკნელი დღიურებიც დამეკარგა. შემდეგ ბევრი ვიხვეწე, ბევრი ვიმუდარე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია და დღესაც დაკარგულად ვთვლი იმ წიგნებსა და დღიურებს“.*

მხოლოდ 1928 წელს მიაკვლია „მგზავრობას“ პ. ინგოროყვამ და გამოაქვეყნა პირველი ცნობები მის შესახებ, ხოლო 1910 წელს მანვე დაბეჭდა „მგზავრობის“ ე.წ. „ლიტერატურულად დამუშავებული“ ნაწილი.“

აი აქ ცოტა ხნით შევწყვეტ და აღფრთოვანებით, განა გულში, წამოვიხებ“ რამდენ ადამიანს აერთიანებდაერთ კაცში დიდი პავლე ინგოროყვა?! ბევრს! და სხვათაშორის შარშან იუბილე ჰქონდა და სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ აღვნიშნე! გამოვასწორებ, აყუცილებლად, ჯერ არ ვიცი, როგორ, მაგრამ... მაინც.

ბატონი ჯუმბერის წერილიდან ამონარიდების მოტანას განვაგრძობ. მით უფრო, ქვემოთ მოტანილ ამონარიდში ბატონი პავლეს საინტერესო და ბევრისმეტყველი შეფასებაცაა...

საინტერესოა, არა? ილიას „მგზავრის წერილების“ გამოქვეყნებას 10 წელი დასჭირდა, გრიგოლ ორბელიანის „მოგზაურობას“ გაცილებით მეტი!

„გრ. ორბელიანს გზადაგზა უწარმოებია დღიური და, ცხადია, მგზავრობის დროს მხოლოდ შავად უწერია, დღიურმა ამ სახით მოაღწია ჩვენამდე, გამონაკლისს წარმოადგენს „მგზავრობის“ მხოლოდ ერთი ნაწილი, კერძოდ, მგზავრობის აღწერა თბილისიდან სტავროპოლამდე (დღიური 1831 წ. 9 ივნისიდან 7 აგვისტომდე), რუსეთში ყოფნისას დღიურის ეს ნაწილი გრ. ორბელიანს გადაუთეთრებია და როგორც ჩანს, სტილისტურადაც უფრო დაუხვეწავს. ჩვეულებრივ, დღიურის ამ ნაწილს უწოდებენ „მგზავრობას“ და მას ანცალკევებენ დღიურის შემდეგი ნაწილებისაგან ე. წ. „მოსკოვისა და პეტერბურგის პერიოდის“ დღიურებისაგან. პატივცემული მკვლევარი პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „ეს ტექსტი „მგზავრობისა“ წარმოადგენს არა უბრალო დღიურს, არამედ წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელსაც საფუძვლად პოეტის დღიური დასდებია „მგზავრობა“-ს შენარჩუნებული აქვს დღიურის თხრობის ქარგა, რაც მას დოკუმენტალური პროზის ხასიათის ანიჭებს“.

სინამდვილეში კი დღიური ერთი მთლიანი ნაწარმოებია როგორც ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით, ისე შინაარსისა და განწყობილებების მხრივაც და ამჟამად ჩვენს მიერ აღდგენილი ტექსტი სავსებით ამართლებს სათაურს: „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბულამადის“ (ხაზი ჩვენია). განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „მგზავრობის“ ერთი ნაწილის გამეორება და სტილისტურად დახვეწა ავტორს მოუსწრია, დანარჩენისა კი ვერა.“

დროა, ილიას „მგზავრის წერილებს“ გავუბრუნდე, 1871 3 ოქტომბერს „გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება რეცენზია „კრებულის“ მეხუთე წიგნზე, რომელშიც საუბარია „მგზავრის წერილების“ შესახებ და მაღალი შეფასება ეძლევა ავტორის ნიჭსა და შემოქმედებით ოსტატობას.

მე „დროების“ აღნიშნულ ნომერს ვპოულობ, ვაციფრულებ, გზადაგზა დედას ვესაუბრები და გაციფრულ ტექსტს კორექტურის შემდეგ გაზეთ „ალიონის“ მკითხველისთვის არასრულად მომაქვს:

„პირველი ადგილი „კრებულის“ მეხუთე წიგნში, უეჭველია, ***-ის „მგზავრის წერილელებს“ ეკუთვნის. ეს არის მგზავრის წერილებიდამ ამოღებული სამი პატარა თავი, სულ რვა თაბახი; მაგრამ რამდენი მშვენიერი ალაგებია ამ რვა პატარა თაბახში, რამდენ პოეტურ ნიჭსა და ჭკუას გვიჩვენებს ის ავტორში! წაიკითხეთ ეს ღამისა და დღის ალეგორიული შედარება და დამერწმუნებით, რომ ***-ს მართლა პოეტური ნიჭი და ხელოვნური კალამი აქვს...“

– ესეც განსხვავებული წერილია – მეუბნება დედა და ვიდრე ვუპასუხებ,აგრძელებს. – გიო, მე რომ ვწერდე, „კრებულებზეც“ დავწერდი.

– დავწერ.– ვპირდები და დანაპირებს ქვემოთ გთავაზობთ.

*„კრებული“ - ქართული ყოველთვიური ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრესული ჟურნალი. გამოდიოდა 1871-1873 წლებში თბილისში. დაარსდა ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით. „კრებულში“ გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის, ილია ჭავჭ-ავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, გიორგი ერისთავის, რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ჭალადიდელის, პეტრე უმიკაშვილის, ანტონ ფურცელაძის და სხვათა ნაწარმოებები. ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ნიკოლოზ გოგოლის, ნიკოლოზ დობროლიუბოვის, ჯონათინ სვიფტის, ჰაინრიხ ჰაინეს, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, ჟან მოლიერის, უილიამ შექსპირისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები. რედაქტორი — გ. წერეთელი.“*

ქ. ოზურგეთში

ესმა გიორგის ასული ჭიჭოძე, რომელსაც ტფილისის სახელოსნო გიმნაზიისაგან თავის ხელობის რიგიანად ცოდნის შესახებ ატესტატი აქვს, მსურველთ ასწავლის ჭრა-კერვასა და ყოველსავე ხელობას, რაც-კი ქალის ტანისამოსის შეკერვას შეეხება. შეგირდებს იღებს სამის თვის ვადით იმ პირობით, რომ ზემოთქმული ხელობა ამ ხნის განმავლობაში სრულიად დაასწავლოს. საყიდლად სამისავე თვისათვის მხოლოდ ოცს მანეთს სჯერდება.

ამასთანავე შესაძლოა ქალის ტანისამოსის შესაკერავად მასვე მიჰმართონ. ყოველსავე შეკვეთას ზომიერ ფასად და დროზე ასრულებს. (6—1)

გიორგი წერეთელი ვახსენე და მოდი, ბარემ ერთი მეტად საინტერესო ამბავი გავიხსენოთ, სახელდობრ, ის რომ გრიგოლ ორბელიანის ყურადღება დაიმსახურა გ. წერეთლის მოთხრობამ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, რომელიც პირველად სათაურით „მგზავრის წიგნები“ პირველი ოთხი „წიგნი“ გაზეთ „დროებამ“ 1867 წელს დაბეჭდა, ხოლო 1870 წელს V და VI „წიგნები“. 1873 წელს „მგზავრის წიგნები“ „კრებულმა“ მთლიანად გამოაქვეყნა. „დროებაში“ ნაწარმოები ხელმოუწერლად იბეჭდებოდა, ხოლო „კრებულში“ კი ხელმოწერით ჭილაია, ან. (1964). გიორგი წერეთელი. შემოქმედების გზა. გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი.]. სხვათაშორის, ამაზევე წერს ბატონი ელგუჯა მაღრაძე „გრიგოლ ორიბელიანში“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 1975. წელი. თავს ვერ დავდებ, მაგრამ ამ დროს გამომცემლობი დირექტორი, ჩვენებური ვახტანგ ჭელიძე უნდა ბრძანებულიყო.) და რომელიც ჩემი თხოვნით, გრიგოლ ორბელიანის საიუბილეოდ, ციფრულმა ბიბლიოთეკამ „ივერიელმა“ გააციფრულაა. კიდევ ერთხელ მთელ „ივერიელს“, ყველა იქაურ ჩემ კოლეგას!

დროა, ილიასა და გრიგოლ ორბელინის ურთიერთობას დავუბრუნდეთ, დაბრუნება აღნიშნული წიგნიდან იქნება, სპეციალურ თავში „გრიგოლ ორბელიანი „მამათა „ და შვილთა“ ბრძოლაში“ წერს: *„ქართველ რომანტიკოსებს არ დასჭირებიათ ბრძოლა კლასიცისტური თუ სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებთან, როგორც ევროპული რომანტიზმის ისტორიაში მოხდა. ჩვენი რომანტიკოსების შემოქმედებაში უფრო რელიეფურად გამოჩნდა ეროვნული ტკივილი, ერის ბედის საკითხი. ამასთან მათ შეტაკება მოუხდათ ისევ თავიანთ, მომდევნო თაობის თანამედროვე მწერლებთან — შვილებთან, „თერგდალეულებთან“.*

მესხი სრულიად ბუნებრივად თვლის აზრთა სხვადასხვაობას, თაობათა შეჯახებას, რადგან „ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება, როდესაც ორი ან მეტი ერთმანეთის მოპირდაპირე აზრი შეებმიან და დაეტაკებიან ერთმანეთს“ . - წერს ბარონი ელგუჯა და იქვე აგრძელებს:

„ასე მოხდა ჩვენშიც. აზრთა სხვადასხვაობა იქამდე მივიდა, რომ „ეს ორი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ხშირათ ერთმანეთს სხვადა სხვა ლამაზი სიტყვებით ამკობს“, მაგალითად კი ასახელებს გრ. ორ ბელიანის საყვედურს, ენა წაგვიბილწეთო, უსაქმურნი და ლიბერალები ხართო. ს. მესხი იმ აზრისაა, რომ ჯერ არც ერთ თაობას არ გაუბედნიერებია საზოგადოება და უმჯობესია საერთო ძალით არგონ საშშობლოს; ცხადია, უფრო გონივრული გამოდის ს. მესხის დასკვნა: „მომავალი ყოველთვის ახალგაზრდებს ეკუთვნით“.

ბრძოლა 60-იან წლებშივე დაიწყო. ილიას წერილი „კოზლოვის შეშლილის თარგმანზე“ პირველი ცეცხლწამკიდი ყუმბარა იყო, მამა თა ბანაკში გადასროლილი. გრ. ორბელიანს მაშინ ნაკლები დრო და ხალისი ჰქონდა ამ ბრძოლაში ჩაბმისა და ვიდრე მას არ უკბინეს. ხმის ამოღებას ერიდებოდა. ეს კი ათიოდე წლით გვიან მოხდა.

**გიო კილაძე**

გილოცავთ დამდეგ 2025 წელს, შობის დღესასწაულის მობრძანებას, უფლის წყალობა და მადლი, წინსვლა და წარმატებები არ მოშლოდეს ჩვენს ქვეყანას.

**ლავრენტი ბიგვავა,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ჩემს ოზურგეთს, გურიას, სრულიად საქართველოს და მის აღმატებულებას ქართულ თეატრს ვულოცავ შობა-კალანდას. მშვიდობის სიხარულისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს იგი თქვენი ოჯახებისთვის.

**ვასილ ჩიგოგიძე,**
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

გილოცავთ 2025 წლის შემობრძანებას, რომელიც უსათუოდ შეგატებთ სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, მოგიტანთ ხვავსა დაბარაქას. გქონოდეთ ფუძე მაგარი და ჭერი მაღალი.

**ერეოდი გორდელაძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი

ჩემო ოზურგეთელებო, ნატანებლებო, სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ შობა-კალანდას! მრავალს დაესწარით. იმრავლეთ, იხარეთ თქვენი მოდგმის სასახელოდ.

**თამაზ ტულუში**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი,

ჩემო ოზურგეთელებო, შრომელებო გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ეს წელი ყოფილიყოს სიკეთისა და ბედნიერების მომტანი.

**დავით ჭაკნელიძე**
შრომა-ურეკის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს აბრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ჩემო ოზურგეთელებო, სილაურელებო გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ მშვიდობას, ულევ სიხარულს. სიკეთეს და წარმატებას თქვენ და თქვენს ოჯახებს

**გოჩა კილაძე**
ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე

ჩვენო გურულებო! გილოცავთ შობა-კალანდის მობრძანებას, ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ. წარმატებები თქვენს საქმიანობაში

**გოჩა მდინარაძე,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი

2025 წელს მეტი სიხარული მოეტანოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის, ახლობლებისთვის სრულიად საქართველოსთვის. გისურვებთ ჯანმრთელობას., სიყვარულს, სიკეთეს.

**ლევან კილაძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +2+9 | წვიმა +3+7 | ღრუბელი +2+9 | მზე, ღრუბელი +2+10 | მზე, ღრუბელი +7+9 | მზე, +7+10 | მზე, ღრუბელი +7+10 |
| 30 დეკემბერი ორშაბათი | 31 დეკემბერი სამშაბათი | 1 იანვარი ოთხშაბათი | 2 იანვარი ხუთშაბათი | 3 იანვარი პარასკევი | 4 იანვარი შაბათი | 5 იანვარი კვირა |